

ლადო კაპავა: საქართველოში მოქმედ ბანკებს სამშენებლო გიზნესიდან სერიოზული საფრთხე ემუქრება!

გაზეთი “ასავალ-დასავალი” – 16-22 ივნისი, № 24, 2008

სიღარიბის დაძლევის პროგრამის პარალელურად საწვავზე და საკვებ პროდუქტებზე ფასები ყოველდღიურად იზრდება. რა არის ამის მიზეზი, მოსალოდნელია თუ არა ფინანსური კრიზისი და როგორ შეიძლება ასეთ პირობებში სიღარიბის დაძლევა? ჩვენი სტუმარია ეკონომიკის ექსპერტი ლადო პაპავა.

– ბატონო ლადო, რამდენად მაღალია საქართველოში ინფლაცია და რა არის ამის მიზეზი?

– ამჟამად მსოფლიოში მიმდინარეობს გლობალური ფინანსური კრიზისი, რომელმაც საოთავე აიღო აშშ-ში. დოლარი მსოფლიო ვალუტაა და სულაც არ არის გასაკვირი, რომ კრიზისი მოედო მთელს მსოფლიოს, მათ შორის საქართველოს. მსოფლიო ბაზრებზე პრაქტიკულად უწყვეტ რეჟიმში მატულობს ენერგომატარებლების ფასი, იზრდება ფასები ხორბალზე. ხორბალსა და ნავთობზე ფასების მატება აისახება მთელს ეკონომიკაზე, მითუმეტეს, რომ ორივე შემთხვევაში ჩვენ მნიშვნელოვანწილად იმპორტზე გართ დამოკიდებული.

საქართველოში ინფლაციას ხელს უწყობს ის, რომ შემოდის დიდალი უცხოური ვალუტა, ვგულისხმობ უცხოურ ინვესტიციებს და უცხოეთში მომუშავე ჩვენი თანამემამულეების მიერ ახლობლებისათვის გამოგზავნილ დოლარებს. ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2000 წელთან შედარებით, 2006 წელს მარტო საბანკო არხებით 6-ჯერ გაიზარდა საზღვარგარეთ მყოფი ჩვენი თანამემამულეების ფულადი გზავნილები. ეროვნული ბანკი რომ არ ჩარეულიყო ამ პროცესში, შეიძლება ისე გამყარებულიყო ლარი, რომ ჩვენს ეკონომიკას სრული კოლაფსი განეცადა. ეროვნული ბანკი ცდილობს შეამციროს მიმოქცევაში არსებული დოლარი, ამიტომ ყიდულობს მას,

სამაგიეროდ ყიდის ლარს, რაც ხელს უწყობს ინფლაციას. ამ პროცესში ეროვნულ ბანკთან სასაყვედურო არაფერი მაქვს, მაგრამ მას გვერდით უნდა დაუდგეს მთავრობა და ერთად იმოქმედონ ინფლაციის შესაჩერებლად... სამწუხაროდ, მთავრობამ, პირიქით ხელი შეუწყო ინფლაციის გაზრდას, ნაცვლად იმისა, რომ მაქსიმალურად შეეზღუდა სოციალური ხარჯები, უპასუხისმგებლოდ გაზრდა იგი წინასაარჩევნოდ ამომრჩევლის გულის მოსაგებად!

— თუ კი თქვენ გულისხმოთ პენსიების ზრდასა და სოციალურ დახმარებებს, ძალიან არაპოპულარულ განცხადებას აკეთებთ.

— პირიქით, ძალიან პოლულარულ რამეს ვამბობ (თუმცა იაფფასიანი პოპულარობა არასოდეს ყოფილა ჩემი მიზანი) და ეს სულ მალე კიდევ უფრო კარგად გამოცნდება. ეს იყო მთავრობის მცდარი, პოპულისტური პოლიტიკა, რომელიც მიმართული იყო არა სოციალური პრობლემების მოგვარებაზე, არამედ ამომრჩევლების გულის მოგებაზე. 6 თვის განმავლობაში 2-ჯერ გაიზარდა პენსიები. კარგი იქნებოდა, რომ მუდმივ რეჟიმში – ყოველწლიურად ან ყოველ 6 თვეში ერთხელ გაეზარდათ. ენა არ შემომიბრუნდება იმის სათქმელად, რომ პენსიები არ უნდა გაიზარდოს, მით უმეტეს დღეს, როცა ის საარსებო მინიმუმზე ბევრად ნაკლებია, მაგრამ გვაქვს ისეთი სოციალური ხარჯებიც, რომელთა გაწევას არანაირი გამართლება არა აქვს. მაგალითად, ასეთი იყო ეწ. დასაქმების პროგრამა. თუ გახსოვთ, მაშინვე ვამბობდი, რომ ეს გამოიწვევდა ინფლაციას და ახდა კიდეც, რადგან ეს პრაქტიკულად გადაყრილი ფული იყო.

— რატომ იყო გადაყრილი ფული, ხალხმა ხომ მოიხმარა?

— თუ თქვენ დამისახელებთ 10 კაცს მაინც, რომელიც ამ პროგრამით დასაქმდა, იშრომა და ამაში მიიღო ეს ფული, ხმას აღარ ამოვიდებ. მიზნის მიღწევის თვალსაზრისით, ეს იყო გადაყრილი ფული, რომელიც სამჯერ გაიცა, 2006 წელს – ადგილობრივი არჩევნებისთვის, 2007 და 2008 წლებში საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებისთვის. რატომდა გვიკვირს ფასების გაზრდა? ხელისუფლებამ იმ პერიოდში მოიგო ხალხის გული, სამაგიეროდ, დღეს ყველა შეჭირვებული ადამიანი უმიმეს მდგომარეობაში ჩააყენა. მივესალმები ლადო გურგენიძის განცხადებას, რომელმაც აღიარა, რომ დასაქმების პროგრამა იყო მცდარი, წარუმატებელი და ის საქართველოში აღარ გაგრძელდება. ასევე ინფლაციური იყო ვაუჩერების დარიგება და სხვა მსგავსი პროგრამები.

– როგორც შევიტყეთ, პრეზიდენტის სიღარიბის დაძლევის 50 დღიანი პროგრამა 50 თვიანი პროგრამით შეიცვალა. თუ გაეცანით ამ პროგრამას?

– თუ ვინმე შეძლებს ამ პროგრამის მოპოვებას და ჩემთვის მოწოდებას, დიდად მადლობელი დავრჩები. არ მგონია ვინმემ და მათ შორის, თავად მთავრობამ იცოდეს, სად არის ეს დოკუმენტი. ფაქტია ისიც, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ წინასაარჩევნო პროგრამაც არ გააჩნდა, თუმცა კი ბევრს საუბრობდნენ ამაზე. ერთადერთი პარტია, რომელმაც მეტნაკლებად სრულყოფილი წინასაარჩევნო პროგრამა წარმოადგინა, იყო რესპუბლიკური პარტია, თუმცა, ის რომ მხოლოდ ამ პარტიას ჰქონდა პროგრამა, სულაც არ აღმოჩნდა წინაპირობა არჩევნებში გასამარჯვებლად. ეს ადასტურებს, რომ ჩვენს ამომრჩეველს ჯერჯერობით არა აქვს კულტურა იმისა, რომ პარტიები პროგრამებით შეაფასოს, რაც კარგად იცის „ნაციონალურმა მოძრაობამაც“ და ამიტომაც მათ თავი არ შეუწევებია ამისათვის. ერთადერთი დოკუმენტი, რასაც მთავრობა სიღარიბის დაძლევის პროგრამას უწოდებენ, ეს არის 7 გვერდიანი მოხსენება, რითაც ლადო გურგენიძე პარლამენტის წინაშე წარსდგა, როცა მას პრემიერ-მინისტრად ირჩევდნენ. მათი ყოველი ე.წ. პროგრამა არის მხოლოდ და მხოლოდ პიარ-გეგმა. ასე, რომ ნუ გაგვიკირდებათ, როცა გაიგებთ 50 დღიანი ან 50 თვიანი პროგრამის შესახებ და ასეთ დოკუმენტს ვერ მოიძიებთ. მაგალითად, 2004 წელს 4-ჯერ თუ 5-ჯერ ჩატარდა ახალი საგადასახადო კოდექსის პრეზენტაცია ისე, რომ ეს საგადასახადო კოდექსი დაწერილიც კი არ იყო.

– არც სახელმწიფოს მიერ გაცემული იაფი კრედიტები მიგაჩნიათ დასაქმებისა და სიღარიბის დაძლევის გზად?

– მე ამ პროგრამას უარყოფითად არ ვაფასებ, მაგრამ ეს არ არის ის რესურსი, რომელიც ჩვენს საკრედიტო ბაზარზე რაიმე ზეგავლენას მოახდენს. სულ 50 მილიონზეა საუბარი. ასეთი მცირე ზომის კრედიტები მთელ მსოფლიოში არსებობს, მაგრამ ეს ხდება არა იმდენად უკონომიკური საქმიანობის აქტივიზაციისათვის, არამედ იმისათვის, რომ ადამიანმა საკუთარი შრომით თავი შეინახოს. ეს არ არის დასაქმების პრობლემის გადამწყვეტი სქემა, თუმცა შიმშილის პრობლემის გადაწყვეტაში კი შეიძლება დაეხმაროს ადამიანს.

საერთოდ, იმ დოკუმენტში, რასაც სიღარიბის დაძლევა ჰქვია, არის ისეთი ღონისძიებები, რასაც არანაირი კავშირი არ აქვს სიღარიბის დაძლევასთან, მაგალითად, ფოთის სპეციალური ინდუსტრული ზონის შექმნა,

რაც ნიშნავს ფოთის განვითარებას დანარჩენი საქართველოს ხარჯზე კანონის მიხედვით, ფოთში შეიქმნება უფრო შედავათიანი საგადასახადო რეჟიმი. როცა ქვეყანაში არის ინვესტიციური შიმშილი და ამ დროს ქვეყნის რომელიმე რეგიონში შედავათიანი რეჟიმი მოქმედებს, ეს იმას ნიშნავს, რომ ინვესტორი, წავა მხოლოდ ამ რეგიონში. ადგილობრივი ბიზნესმენები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში კი არ განვითარებენ საკუთარ ბიზნესს, არამე წავლენ ფოთში. შედეგად ფოთში ინფრასტრუქტურა შეიცვლება, რეგიონი განვითარდება, დასაქმება გაუმჯობესდება, მაგრამ დანარჩენ საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდება. მე რასაც გამბობ, ეს ძალიან კარგად ცნობილი საერთაშორისო გამოცდილებაა. მეტსაც გეტყვით: საერთაშორისო სავალუტო ფონდმა ჩაატარა სპეციალური დახურული სემინარი ტაბახმელაში, სადაც მიწვეული იყვნენ მთავრობის წევრები. ერთ-ერთი საკითხი იყო ფოთის თავისუფალი ეკონომიკური ზონა და მთავრობას მისცეს რეკომენდაცია, ნუ გააკეთებოთ. რატომდა აკეთებენ? ეს, როგორც ჩანს არ არის მხოლოდ სიბრივე, არამედ აქ გადამწყვეტია არა მხოლოდ ფოთის, არამედ მავანთა და მავანთა საკუთარი ბიზნეს-ინტერესების განვითარება.

— ბატონო ლადო, როგორც კულუარებში ამბობენ, დღეს საქართველოში მოქმედი ბანკები ფულადი რესურსების კრიზისს განიცდიან. ამას გარკვეულწილად ადასტურებს ისისც, რომ ბოლო პერიოდში სამომხმარებლო სესხებზე საპროცენტო განაკვეთები გაიზარდა. ხომ არ დგანან ეს ბანკები და მათი კლიენტები რაიმე უფრო გლობალური საშიშროების წინაშე?

— თუ კი ადრე ქართულ ბანკებს ხელი მიუწვდებოდათ ეკროპაში შედარებით თავისუფალი და იაფი საკრედიტო რესურსისთვის, დღეს ამ მისი მოზიდვის შესაძლებლობა შეიზღუდა, რამაც საპროცენტო განაკვეთი გაზარდა. ნახეთ, ორი ყველაზე დიდი ბანკი, „საქართველოს ბანკი“ და „თიბისი ბანკი“, სხვადასხვა გათამაშებებით ცდილობენ ფულის მიზიდვას, იმიტომ რომ რომ რესურსი შეუმცირდათ.

ისე კი, საქართველოს საბანკო სისტემას მე ჯერჯერობით მაინც ჯანსაღ სისტემად მივიჩნევ, თუმცა მას სერიოზული საფრთხე ემუქრება ქართული სამშენებლო ბიზნესიდან, სადაც კატასტროფულად გაბერილი ფასებია. მთელი ეს ბიზნესი დაფუძნებულია იპოთეკურ სესხებზე და არსებული ფინანსურ-ეკონიმიკური კრიზისის პირობებში, ვშიშობ, მოსახლეობას ძალიან გაუჭირდება სესხის დაბრუნება. ხოლო თუ ერთი

სამშენებლო (ან “დეველოპერული”, როგორც ამას ქართული ენის დამახინჯებით უწოდებენ განმავითარებელ კომპანიებს) კომპანია მაინც გაკოტრდა, ამან შეიძლება გამოიწვიოს ჯაჭვური რეაქცია და სერიოზულად დააზარალოს არა მხოლოდ მთლიანად საშენებლო ბიზნესი, არამედ საბანკო სექტორიც.

— ბატონო ლადო, 2004 წლის საპარლამენტო არჩევნებისაგან განსხვავებით, „ნაციონალურ მოძრაობას“ ამჯერად საარჩევნო დაპირებებში ანაბრების გასტუმრება არ უხსენებია. როგორ ფიქრობთ, რატომ?

— ამ თანხების დაბრუნების შესაძლებლობა, არა მხოლოდ დღეს, კიდევ ერთი 50 წლის (შესაძლოა საერთოდაც კი) განმავლობაში არ ექნება საქართველოს. რატომ? თუ ავიდებთ ფულის დაბრუნების იმ სქემას, რასაც ზოგიერთი პარტია აცხადებს, რომ მოსახლეობას სახელმწიფო ქონების აქციები მიეცეს, დიდი ბოლოში, მაგრამ ასეთი ქონება საქართველოში თითქმის აღარ არის დარჩენილი. თანაც ადამიანს უნდა ფული, ამიტომ აქციისგან მან უნდა მიიღოს დივიდენდი, ან გაყიდოს აქცია. თუ გაყიდის აქციას და ამით ფულს მიიღებს, საწარმოებს რა ხეირი ექნებათ? ამით ქვეყანაში არსებული საწარმოები კიდევ უფრო გაუბედურდებიან. ამბობენ იმასაც, მეანაბრეებს მივცეთ ბუნებრივი რესურსები საკუთრებაშიო. მე ნამდვილად არ მომწონს, როცა ჩვენი მთავრობა ბუნებრივ რესურსებს უცხოელებზე პყიდის ყოველგვარი უსაფრთხოების ზომების დაცვის გარეშე. თუ მიწას და ბუნებრივ რესურსებს საკუთრებაში გადავცემთ ამ გაუბედურებულ ხალხს, ბუნებრივია, რომ ისინი ეცდებიან აქედან მიიღონ ფული, რისი უველაზე მარტივი გზა არის ქონების გაყიდვა. სარფიანად რომ გაყიდოს, უცხოელს უნდა მიყიდოს. რა მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო გაყიდის ჩვენს ბუნებრივ სიმდიდრეს თუ კერძო პირი?

არის კიდევ ერთი სერიოზული პრობლემა. უნდა დავადგინოთ რეალურად რა თანხაზეა საუბარი? სხვადასხვა დროს შეტანილ თანხებს სხვადასხვა მსყიდველობითი უნარი ჰქონდა. ექსპერტებმა უხეში გათვლები ჩაატარეს და დაადგინეს, მოსახლეობა კმაყოფილი რომ დარჩეს და სრულად აუნაზღაურდეს ზარალი, ეს თანხა არის სადღაც 200 მილიარდი დოლარი. ვთქვათ, რომ 200 მილიარდი გაზვიადებულია და გავანახევროთ, გნებავთ, მეოთხედი, 50 მილიარდი ავიდოთ. იცით, რამდენია საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრე? ის წიაღისეული, რაც საქართველოს გააჩნია, ჩვენი გეოლოგების შეფასებით არის 57 მილიარდი დოლარის ღირებულების. როგორ უნდა

გადაიხადოს ეს თანხა სახელმწიფომ? რა დროში უნდა გაიწეროს? რამდენი უნდა ჩავდოთ წლიურ ბიუჯეტში? თუ ვინმე ფულის მოჭრას და ამ გზით გასტუმრებას აპირებს, უნდა თქვას. ეს გამოიწვევს პიპერინფლაციას და ისევ დაგვაბრუნებს 1993-94 წლებში. ამიტომ, ის ვინც მოსახლეობას პპირდება ანაბრებს დაგიბრუნებოთ, ამას ამომრჩევლის გულის მოსაგებად აკეთებს, თუმცა, „ნაციონალურ მოძრაობას“ ეს დაპირება აღარ მიუცია და ამით სულაც არ დაზარალებულა – მაინც დიდი უპირატესობით აღმოჩნდა საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული.

ყოველივე ის, რაც გითხარით, არ გამორიცხავს იმას, რომ დღის წესრიგში დადგეს იმ ადამიანთა სისხლის სამართლებრივი თუ არა, პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი მაინც, ვინც მაშინ ეს ანაბრები თავისი მცდარი პოლიტიკის გამო გააუფასურა. ამისათვის ახალ პარლამენტში უნდა შეიქმნას კომისია, მაგრამ არა ისეთი, როგორიც უკვე იყო წინა პარლამენტში, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ მავანთა და მავანთა იმიჯის გათეთრებას ისახავდა მიზნად.

ესაუბრა თეა ასათიანი